მინაბოჭკოთი არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით.
2. ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოს უქსოვადი ქერის საგები ECOMAT 15-170-2800
სისქით 15 მმ, მოცულობითი სიმკვრივით 170 კგ/მ³, ზედაპირული სიმკვრივით 2800 გ/მ²,
მინაბოჭკოთი არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარის გარეშე.
3. ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოს უქსოვადი ქერის საგები ECOMAT 25-185-4800 F
სისქით 25 მმ, მოცულობითი სიმკვრივით 185 კგ/მ³, ზედაპირული სიმკვრივით 4800 გ/მ²,
მინაბოჭკოთი არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით.
4. ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოს უქსოვადი ქერის საგები ECOMAT 25-185-4800
სისქით 25 მმ, მოცულობითი სიმკვრივით 185 კგ/მ³, ზედაპირული სიმკვრივით 4800 გ/მ²,
მინაბოჭკოთი არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარის გარეშე.
5. ბაზალტის ბოჭკოს დაბალი სიმკვრივის უქსოვადი ქერის საგები ECOMAT DS 50-50-2600 F
სისქით 50 მმ, მოცულობითი სიმკვრივით 50 კგ/მ³, ზედაპირული სიმკვრივით 2600 გ/მ²,
მინაბოჭკოთი არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით.
6. ბაზალტის ბოჭკოს დაბალი სიმკვრივის უქსოვადი ქერის საგები ECOMAT DS 50-50-2600
სისქით 50 მმ, მოცულობითი სიმკვრივით 50 კგ/მ³, ზედაპირული სიმკვრივით 2600 გ/მ²,
მინაბოჭკოთი არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარის გარეშე.
7. ბაზალტის ტექსტილური ნაჩეჩი ბოჭკოს ამოსაგები ფილა BAF 50 – 70 / 3500 F,
სისქით 50 მმ, მოცულობითი სიმკვრივით 70 კგ/მ³, ზედაპირული სიმკვრივით 3500 გ/მ²,
მინაბოჭკოთი არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით.
8. ბაზალტის ტექსტილური ნაჩეჩი ბოჭკოს ამოსაგები ფილა BAF 50 – 70 / 3500,
სისქით 50 მმ, მოცულობითი სიმკვრივით 70 კგ/მ³, ზედაპირული სიმკვრივით 3500 გ/მ²,
მინაბოჭკოთი არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარის გარეშე.

სამუშაო მიმდინარეობდა 27.05. – 18.06. 2020.

2. ტემპერატუროგამტარობის განსაზღვრის ვერტიკალური დანადგარის სქემა.



3. ექსპერიმენტის პარამეტრები

1. სინჯების გეომეტრიული ზომები: სიგრძე - 250 მმ, სიგანე - 250 მმ, სისქე 15; 25; 50 მმ.
2. თითოეულ სინჯზე სისქეები იზომებოდა 9-9 წერტილში.
3. საცდელი სინჯების გამაცხელებელი - ელექტროქურა ნიქრომის სპირალით 220 v, 1000 w.
4. ტემპერატურა ელექტროქურით გაცხელებადი ფოლადის ფილის ზედაპირზე - 450 °C.
4. სინჯსა და ქურას შორის 30 მმ სისქის ფოლადის ფილა ნახვრეტით თერმომეტრისთვის.
5. საცდელი სინჯების ზედაპირზე პირომეტრით ტემპერატურის გაზომვა - უბნის ცენტრში.
6. მანძილი საცდელი სინჯების ზედა ზედაპირსა და პირომეტრს შორის - 150-200 მმ.
7. საცდელი სინჯების ზედაპირზე პირომეტრით ტემპერატურის გაზომვის სიხშირე: 30, 60, 90, 120, 150, 180, 210, 240 წუთი.

4. ტემპერატურების გაზომვის ადგილები და საშუალებანი

T^0_1 - საცდელი სინჯის გაცხელებადი ქვედა ზედაპირის ცენტრში
ვერცხლისწყლის თერმომეტრით დანაყოფის ფასით 1°C.

T^0_2 - საცდელი სინჯის ზედა ზედაპირის ცენტრში
პირომეტრით Infrarot thermometer -20 ... +320 °C.

T^0_3 - გარემო ჰაერის ტემპერატურა ლაბორატორიაში ელექტროქურის მახლობლად
ვერცხლისწყლის თერმომეტრით დანაყოფის ფასით 1°C.

შენიშვნა:

1. ელექტროქურის ზედაპირზე მოთავსებული 30 მმ სისქის ფოლადის ფილის დანიშნულება მდგომარეობს ქურის გამახურებელი ელემენტის მიერ გამოყოფილი სითბური ენერჯის თანაბრად და ერთგვაროვნად გადაცემა საცდელი სინჯის ქვედა ზედაპირზე.
2. მინაბოჭკოს ბადით არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით დაფარული თბოსაიზოლაციო მასალის საცდელი სინჯი ელექტროქურის ფოლადის ფილაზე მოთავსებული იყო პოლიმერული ფირის საფარით ზემო მხარეს.

3. სინჯებზე მეტალიზებული პოლიმერული ფირი დაწებებულ იქნა პვა წებოთი და ნარჩენი ტენიანობის მოსაცილებლად საშრობ კარადაში გამოშრა 100-105 °C-ზე 3 სთ განმავლობაში.

5. ექსპერიმენტის მსვლელობა.

(მუშა ცხრილები)

5.1. ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოს უქსოვადი ქერის საგები ECOMAT 15-170-2800 F მინაბოჭკოთი არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით.
450 °C

ცხრილი 1

დრო	ტემპერატურა გახურებულ ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა ქერის საგების ზედა ზედაპირზე	ტემპერატურა გარემო ჰაერის. ელექტროქურის მახლობლად	შენიშვნა
წთ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C	
30	450	110	30,0	
60	450	110	30,0	
90	450	110	31,0	
120	450	109	31,5	
150	450	110	31,5	
180	450	110	32,0	
210	450	111	33,0	
240	450	110	33,0	
საშ.	<u>450</u>	<u>110</u>	<u>31,5</u>	

5.2. ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოს უქსოვადი ქერის საგები ECOMAT 15-170-2800 მინაბოჭკოთი არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარის გარეშე.
450 °C

ცხრილი 2

დრო	ტემპერატურა გახურებულ ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა ქერის საგების ზედა ზედაპირზე	ტემპერატურა გარემო ჰაერის. ელექტროქურის მახლობლად	შენიშვნა
წთ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C	
30	450	150	30,0	
60	450	150	30,0	
90	450	151	30,0	
120	450	150	30,0	
150	450	150	30,0	
180	450	150	31,0	
210	450	151	31,0	
240	450	150	31,5	
საშ.	<u>450</u>	<u>150</u>	<u>30,5</u>	

5.3. ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოს უქსოვადი ქერის საგები ECOMAT 25-185-4800 F
 მინაბოჭკოთი არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით.

450 °C

ცხრილი 3

დრო	ტემპერატურა გახურებულ ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა ქერის საგების ზედა ზედაპირზე	ტემპერატურა გარემო ჰაერის. ელექტროქურის მახლობლად	შენიშვნა
წთ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C	
30	450	89	33,0	
60	450	90	33,0	
90	450	91	33,0	
120	450	90	33,0	
150	450	90	33,5	
180	450	90	33,5	
210	450	90	33,5	
240	450	90	33,0	
საშ.	<u>450</u>	<u>90</u>	<u>33</u>	

5.4. ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოს უქსოვადი ქერის საგები ECOMAT 25-185-4800
 მინაბოჭკოთი არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარის გარეშე.

450 °C

ცხრილი 4

დრო	ტემპერატურა გახურებულ ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა ქერის საგების ზედა ზედაპირზე	ტემპერატურა გარემო ჰაერის. ელექტროქურის მახლობლად	შენიშვნა
წთ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C	
30	450	115	30,0	
60	450	115	30,0	
90	450	115	30,0	
120	450	114	30,0	
150	450	115	30,0	
180	450	115	31,0	
210	450	115	31,0	
240	450	115	31,5	
საშ.	<u>450</u>	<u>115</u>	<u>33,5</u>	

5.5. ბაზალტის ბოჭკოს დაბალი სიმკვრივის უქსოვადი ქერის საგები ECOMAT DS 50-50-2600 F მინაბოჭკოთი არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით.

450 °C

ცხრილი 5

დრო	ტემპერატურა გახურებულ ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა ქერის საგების ზედა ზედაპირზე	ტემპერატურა გარემო ჰაერის. ელექტროქურის მახლობლად	შენიშვნა
წთ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C	
30	450	85-90	35,0	საგების ზედაპირზე ტემპერატურები იზომებოდა 2-2 ადგილზე: 1 - ქერის ჩაუნემ- სავ ადგილებში 2 - ქერის ჩანემ- სილ ადგილებში
60	450	84-90	35,0	
90	450	85-91	35,0	
120	450	86-93	35,0	
150	450	88-95	35,0	
180	450	87-95	35,5	
210	450	86-94	35,5	
240	450	88-96	35,0	
საშ.	<u>450</u>	<u>86-94</u> <u>90</u>	<u>35</u>	

5.6. ბაზალტის ბოჭკოს დაბალი სიმკვრივის უქსოვადი ქერის საგები ECOMAT DS 50-50-2600 მინაბოჭკოთი არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარის გარეშე.

450 °C

ცხრილი 6

დრო	ტემპერატურა გახურებულ ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა ქერის საგების ზედა ზედაპირზე	ტემპერატურა გარემო ჰაერის. ელექტროქურის მახლობლად	შენიშვნა
წთ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C	
30	450	108-118	33,0	საგების ზედაპირზე ტემპერატურები იზომებოდა 2-2 ადგილზე: 1 - ქერის ჩაუნემ- სავ ადგილებში 2 - ქერის ჩანემ- სილ ადგილებში
60	450	112-120	33,0	
90	450	114-124	33,0	
120	450	110-120	33,0	
150	450	114-125	33,5	
180	450	115-125	33,5	
210	450	113-123	33,5	
240	450	114-124	33,0	
საშ.	<u>450</u>	<u>113-122</u> <u>117</u>	<u>33</u>	

5.7. ბაზალტის ტექსტილური ნაჩეჩი ბოჭკოს ამოსაგები ფილა BAF 50 – 70 / 3500 F, მინაბოჭკოთი არმირებული, ალუმინით მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარით.

450 °C

ცხრილი 7

დრო	ტემპერატურა გახურებულ ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა ქერის საგების ზედა ზედაპირზე	ტემპერატურა გარემო ჰაერის. ელექტროქურის მახლობლად	შენიშვნა
წთ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C	
30	450	85-93	32,0	ფილის არაერთ- გვაროვნების გამო ზედაპირზე ტემპერატურები იზომებოდა 2-2 ადგილზე: დაბალი და მაღალი სიმკვრივის ადგილებში
60	450	85-96	32,0	
90	450	83-91	32,0	
120	450	83-91	32,0	
150	450	84-93	33,0	
180	450	85-94	33,5	
210	450	86-94	34,0	
240	450	85-93	34,0	
საშ.	<u>450</u>	<u>84-93</u> <u>89</u>	<u>33</u>	

5.8. ბაზალტის ტექსტილური ნაჩეჩი ბოჭკოს ამოსაგები ფილა BAF 50 – 70 / 3500, მინაბოჭკოთი არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის საფარის გარეშე.

450 °C

ცხრილი 8


დრო	ტემპერატურა გახურებულ ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა ქერის საგების ზედა ზედაპირზე	ტემპერატურა გარემო ჰაერის. ელექტროქურის მახლობლად	შენიშვნა
წთ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C	
30	450	104-120	35,0	ფილის არაერთ- გვაროვნების გამო ზედაპირზე ტემპერატურები იზომებოდა 2-2 ადგილზე: დაბალი და მაღალი სიმკვრივის ადგილებში
60	450	102-120	34,5	
90	450	104-119	34,0	
120	450	103-119	34,0	
150	450	102-116	32,5	
180	450	101-118	32,5	
210	450	100-117	33,0	
240	450	100-116	33,0	
საშ.	<u>450</u>	<u>102-118</u> <u>110</u>	<u>33,5</u>	

5.9. ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოს თბოსაიზოლაციო უქსოვადი ქერის, უქსოვადი დაბალი სიმკვრივის ქერის,

**ბაზალტის ტექსტილური ნაჩეჩი ბოჭკოს ამოსაგები ფილის
ტემპერატუროგამტარობათა მაჩვენებლების საშუალო შესადარებელი ცხრილი
450 °C ტემპერატურამდე გაცხელების პირობებში 240 წთ (4 სთ) განმავლობაში.**

ცხრილი 9

მასალის მარკა	სისქე	ტემპერატურა ქვედა ზედაპირზე	ტემპერატურა მასალის ზედა ზედაპირზე	გარემოჰაერის ტემპერატურა
	მმ	T ₁ °C	T ₂ °C	T ₃ °C
ბაზალტის ბოჭკოს უქსოვადი ქეჩა ECOMAT 15-170-2800 F პოლიმერული ფირის საფარით.	15	450	110	31,5
ბაზალტის ბოჭკოს უქსოვადი ქეჩა ECOMAT 15-170-2800 პოლიმერული საფარის გარეშე.	15	450	150	30,5
ბაზალტის ბოჭკოს უქსოვადი ქეჩა ECOMAT 25-185-4800 F პოლიმერული ფირის საფარით.	25	450	90	33
ბაზალტის ბოჭკოს უქსოვადი ქეჩა ECOMAT 25-185-4800 პოლიმერული საფარის გარეშე.	25	450	115	33,5
ბაზალტის ბოჭკოს დაბალი სიმკვრივის უქსოვადი ქეჩა ECOMAT DS 50-50-2600 F პოლიმერული ფირის საფარით.	50	450	86-94 (90)	35
ბაზალტის ბოჭკოს დაბალი სიმკვრივის უქსოვადი ქეჩა ECOMAT DS 50-50-2600 პოლიმერული საფარის გარეშე.	50	450	113-122 (117)	33
ბაზალტის ნაჩეჩი ბოჭკოს ამოსაგები ფილა BAF 50 – 70 / 3500 F პოლიმერული ფირის საფარით.	50	450	84-93 (89)	33
ბაზალტის ნაჩეჩი ბოჭკოს ამოსაგები ფილა BAF 50 – 70 / 3500 პოლიმერული საფარის გარეშე.	50	450	102-118 (110)	33,5



1.1.4 ეკომატის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი ცეცხლდამცავ სისტემებში გამოყენებად ალტერნატიულ მასალებთან

Rockwool-wired mat, ის ერთადერთი პროდუქტია Rockwool-ის ოჯახიდან რომელსაც შეეძლოა 600°C-ზე ფუნქციონირება. ამ პროდუქტის სიმკვრივე 105 კგ/მ³-ია, ხოლო თბოგადაცემის კოეფიციენტი 600°C-ზე 0.167. ჩვენი პროდუქტი ეკომატის (იხილეთ ტექნიკური ფურცელი ქვემოთ) სიმკვრივე არის 150 კგ/მ³, ხოლო თბოგადაცემის კოეფიციენტი 600°C-ზე 0.154. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შიდა ტემპერატურის პირობებში 600°C, საიზოლაციო მასალის ზედაპირზე შესაძლებელია 50°C-ის დაჭერა 104მმ-იანი ეკომატ 8/1100-ის გამოყენებით; იმავე შედეგის მიღწევა შესაძლებელია 165მმ-ზე მეტი სისქის Rockwool-wired mat-ის გამოყენებით. ასეთი სხვაობა სისქეებში გაპირობებულია მასალების თბოგადაცემის და თბური ინერციის მახასიათებლებიდან გამომდინარე (აღნიშნული ტექნიკური მახასიათებლები ძირითადად დამოკიდებულია საიზოლაციო მასალების სიმკვრივეზე).

კვამლგამწოვების სტრუქტურული მთლიანობა დამყარებულია მასში გამავალ წნევაზე რომელიც გადაეცემა საიზოლაციო მასალას, იმ მომენტამდე როდესაც ცხელი ჰაერის გამო წნევა იწევს იმაზე მაღლა ვიდრე

კვამლგამწოვ მილს შეუძლია ამის ატანა და ხდება კვამლგამწოვის დიზინტეგრირება. საიზოლაციო მასალის სტრუქტურული მთლიანობა ამგვარი წნევებისადმი დამოკიდებულია მის შემადგელობაზე და სტრუქტურულ პარამეტრებზე. როდესაც ვადარებთ ეკომატ 24/3200-ს და Rockwool-wired mat-ს სტრუქტურული მთლიანობის პერსპექტივიდან უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პარამეტრები:

ცხრილი 1: ეკომატის და Rockwool-wired mat-ის სტრუქტურული შემადგენლობის შედარება

	Rockwool Wired Mat 50	Rockwool Wired Mat 80	ეკომატ 24/3200
ელემენტარული ბოჭკოების სიგრძე ქეჩაში, მმ	0.5 – 25		70 მმ – 80 მმ
შედარებისათვის გამოყენებული მასალის სისქე, მმ	50		24
ბოჭკოების სიგრძე მასალის სისქესთან პროპორციაში, %	25.5		312.5
ელემენტარული ბოჭკოების დიამეტრი, μ^1	1 – 30		9-16
შემკვრელად გამოყენებული მეთოდი	ქიმიური შემკვრელი ²		დანემსვა
სიმტკიცე ჭიმვაზე, კნ/მ	0.17	0.17	1.3
დაგრძელების ზღვარი, %			9

შენიშვნები:

1. ბოჭკოები დიამეტრით 5 μ -ზე ქვემოთ ითვლება კარცენოგენურად;
2. ქიმიური შემკვრელი იწყებს წვად და აორთქლებას და შესაბამისად განიცდის გადაგვარებას როგორც შემკვრელი.

რაც უფრო ნაკლებია საიზოლაციო მასალაში არასტაბილური დანამატების შემადგენლობა და მეტია სტრუქტურული ერთიანობა, მით უკეთესი საიზოლაციო მახასიათებლებით ხასიათდება იგი და წარმოადგენს უკეთეს ალტერნატივას კვამლგამწოვებისათვის.



ცხრილი 2: ეკომატისა და Rockwool-wired mat-ის ტექნიკური მახასიათებლების შედარება

	Wired mat 50	Wired mat 80	Wired mat 105	Ecomat 24/3200	სტანდარტი
თბოგადაცემა, Wt/mK					EN 12667:2001
λ ₅₀	0.042	0.039	0.039	0.031	
λ ₁₀₀	0.052	0.045	0.045	0.033	
λ ₁₂₅	0.057	0.050	0.049		
λ ₁₅₀	0.062	0.053	0.052		
λ ₂₀₀	0.075	0.062	0.059	0.041	
λ ₂₅₀	0.089	0.072	0.068		
λ ₃₀₀	0.106	0.087	0.078	0.054	
λ ₃₅₀	0.127	0.99	0.089		
λ ₄₀₀	0.151	0.115	0.102	0.078	
λ ₅₀₀	0.215	0.153	0.131	0.115	
λ ₆₀₀	-	0.198	0.167	0.154	
λ ₆₄₀	-	0.220	0.191		
Λ ₇₀₀	-	-	-	0.208	
სამუშაო ტემპერატურა, °C	-180 ÷ +500	-180 ÷ +650	-180 ÷ +680	-220 ÷ +800	EN 14706:2005
მაქს. სამუშაო ტემპერატურა, °C	+650	+750	+800	+1000	CI/SfB (2-) Rm1 K2 ნოემბერი 2008
დნობის ტემპერატურა, °C	+1000	+1000	+1000	+1400	



ცხრილი 3: ეკომატისა და Rockwool-wired mat-ის შედარება გამოყენების სფეროების მიხედვით


გამოყენების სფეროები		პროდუქტი	ეკომატ 24/3200	Rockwool wired mat 50	Rockwool wired mat 80	Rockwool wired mat 105
რეზერვუარები	< 250°C	ნაკლები < 3მ				
	> 250°C	მეტი > 3m				
ბოილერები	< 250°C	ნაკლები < 3m				
		მეტი > 3m				
ღუმელები	< 250°C					
	> 250°C					
ნარჩენი გაზების გამოდევნა		თბური იზოლაცია				
		ხმაურ იზოლაცია				
მილსადენები						
თბოიზოლაცია		T < 250°C				
		250°C < t < 500°C				
		500°C < t < 640°C				
		640°C < t < 660°C				
		660°C < t < 700°C				
		700°C < t < 800°C				
კონდენსატისაგან დაცვა						
ხმაურ იზოლაცია						
ცეცხლდაცვა						
ჰაერსატარები						
თბოიზოლაცია		ოთხკუთხა				
		მრგვალი				
ცეცხლდაცვა						
ხმაურიზოლაცია						



ცხრილი 4: ეკომატისა და Rockwool-wired mat-ის შედარება ტემპერატურული რეჟიმების მიხედვით

პროდუქტი	ხანძარმედეგობის ზღვარი, წუთი
Ecomat 24/3200	∞ (უსასრულო)
Wired mat 25mm	60
Wired mat 30mm	90
Wired mat 40mm	120
Wired mat 50mm	150
Wired mat 60mm	180
Wired mat 70mm	240

დიაგრამა 2: ეკომატისა და Rockwool-wired mat-ის შედარება კუმშვისათვის სისქეში



ცხრილი 5: ბაზალტის ქერის სახეობები

პროდუქტი	აღწერა
ეკომატ 24/3200	ბაზალტის ქერა
ეკომატ 24/3200 f	ბაზალტის ქერა, ფოლგით

1.2 ცეცხლდამცავი სისტემები

კონსტრუქციების ცეცხლდამცავი კლასიკურ მეთოდებთან შედარებით, როგორცაა აგურით შემოფენა, ბეტონის დამცავი ფენის გაზრდა და სხვა, თანამედროვე მაღალეფექტურ გადაწყვეტებს ბაზალტის ბოჭკოვანი თბოსაიზოლაციო მასალების გამოყენებით გააჩნიათ მრავალფუნქციური გამოყენებები და მზიდ კონსტრუქციებზე ახორციელებენ გაცილებით ნაკლებ დატვირთვებს.

ასეთი სისტემების მონტაჟი ნაკლებ შრომატევადია და შეიძლება იწარმოოს ნებისმიერ გარემო ტემპერატურებზე.

წინამდებარე ინსტრუქციაში წარმოდგენილი არიან შემდეგი კონსტრუქციების ცეცხლდამცავი სისტემების აღწერილობანი:

- კვამლგამწოვი და ჰაერსატარები;
- პროფილირებული ფურცლოვანები.
- ფოლადის კონსტრუქციები;
- რკინაბეტონის კონსტრუქციები;

1.2.1 კონსტრუქციების ცეცხლდამცავი სისტემების მაგალითები



1.3 საერთო რეკომენდაციები სამუშაოთა ჩატარებაზე

1.3.1 ტრანსპორტირება და შენახვა



ტრანსპორტირების დროს მასალა დაცული უნდა იქნეს ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან.



ტრანსპორტირების პროცესში მასალის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ტვირთი უნდა იქნას დამაგრებული.





ტრანსპორტირების შემდეგ ტვირთის გადმოტვირთვა უნდა სწარმოებდეს აკურატულად, პროდუქციის დაუზიანებლად.

ნაწარმი უნდა ინახებოდეს დახურულ საწყობში. დასაშვებია შენახვა ფარდულში, სადაც დაცული იქნება ატმოსფერული ნალექებისგან.

1.3.2 მასალასთან მუშაობის წესები



ბაზალტობოჭოვან მასალასთან მუშაობისას აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა ხმარება.

ბაზალტობოჭოვანი მასალის ფუთის გახსნა მხოლოდ უშუალოდ მონტაჟის ადგილზე. დასაშვებია მუშაობა მხოლოდ სრულიად მშრალ პროდუქტთან. სამუშაოს ჩატარების დროს მასალა დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექებისაგან.



“ეკომატ” ქეჩის საგების ან ფილის საჭრელად გამოიყენება დანა, მაკრატელი ან ხერხუნა. დაუშვებელია მასალის ტეხვა ან გლეჯვა.

დაუშვებელია დაბალი სიმკვრივის (105 კგ/მ³-ზე ქვევით) ბაზალტის საგების ან ფილის ზედმეტად დატვირთვა, მასზე სიარული, ზედ სხვა მასალების დალაგება.

“ეკომატის ფილებთან მუშაობისას აუცილებელია:

- ფუთიდან ფილის ამოღება

- ფილის მთლიანობის შემოწმება.



დეფორმირებული ნაწილის მოჭრა და ნაპირების ჩასწორება.





რულონურ მასალებთან (საგებებთან) მუშაობისას საჭიროა:

- ტორსებთან აკურატულად შემოეჭრას შესაფუთი ფირი.



- შესაფუთი ფირი გაიჭრას გრძივ ნაკერზე, მასალის დაუზიანებლად.



რულონი გაიშალოს და აკურატულად შეინჯდრეს თითოეული ბოლოდან



სისქის და ფორმის აღსადგენად, გაშლილი რულონი იდოს არანაკლები 5 წუთისა.



2. კვამლგამწოვების და ჰაერსატარების ცეცხლდამცავი სისტემა

კვამლგამწოვების და ჰაერსატარების სისტემა თავისთავად წარმოადგენს ხანძრის დროს ცეცხლის კარგ გამავრცელებელს.

ჰაერის ნაკადი და კვამლგამწოვებში ან ჰაერსატარებში შექმნილი გაიშვიათება ხელს უწყობს შენობის შიგნით ცეცხლის დიდი სიჩქარით გავრცელებას.

იმის გამო, რომ ცეცხლის გაჩენის და გავრცელების 100 %-ით გამორიცხვა შეუძლებელია, ჰაერსატარი და კვამლგამწოვი სისტემების ცეცხლმედეგური შესრულება აქტუალური საკითხია.

ეს იძლევა ადამიანების და მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციის დროის მარაგის შექმნის საშუალებას.

ამ მიზნით შპს “ბაზალტ ფაიბერსმა” შეიმუშავა კვამლგამწოვების და ჰაერსატარების ცეცხლდაცვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ბაზალტის ტექსტილური ბოჭკოსგან დამზადებულ შემდეგ პროდუქტებს:

ECOMAT 25-185-4800;

ECOMAT 25-185-4800 F;

ECOMAT DS 50-70-3500;

ECOMAT DS 50-70-3500 F .

ეს პრიდექტები უზრუნველყოფენ ცეცხლმედეგობის ზღვარს 60-დან 240 წუთამდე პროდუქციის სახეობის მიხედვით.

ცეცხლდაცვის ფუნქციის გარდა, ეს სისტემა ასრულებს თბო- და ბგერაიზოლაციის ფუნქციებსაც.

სისტემაში გამოყენებული ეკომატი განეკუთვნება A-I კლასის არაწვად მასალებს რაც იძლევა საშუალებას ეს სისტემა გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ ობიექტზე შეუზღუდავად. (იხილეთ 1.1.2)

შენობის გარეთ აუცილებელია კვამლგამწოვების და ჰაერსატარების მფარავი იზოლაციის ფენის გათვალისწინება.



მარკების აღნიშვნა:

ECOMAT 25-185-4800 არის 25 მმ-ანი ბაზალტის ბოჭკოს ქეჩა, სიმკვრივით 185 კგ/მ³, წონით 4800 გ/მ². ECOMAT 25-185-4800 F არის – იგივე, მინაბოჭკოთი არმირებული მეტალიზებული პოლიმერული ფირით. ECOMAT DS 50-70-3500 არის 50 მმ დაბალი სიმკვრივის (DS) ქეჩა, სიმკვრივით 70 კგ/მ³, წონით 2600 გ/მ². ECOMAT DS 50-70-3500 F არის- იგივე, მინაბოჭკოთი არმირებული მეტალიზებული პოლიმერული ფირით.

50 მმ (Dშ) დაბალი სიმკვრივის ქეჩის გარდა არის ასეთივე (DS) ქეჩები 25, 80, 100 მმ სისქით.


ყველა ეს მონაცემი დაწვრილებით არის აღწერილი მე-6 თავში.



2.1 სისტემის აღწერილობა

2.1.1 სისტემა: ცეცხლდაცვა-ჰაერსატარი

ჰაერსატარების და კვამლგამწოვი შახტების ცეცხლმედეგი შესრულება.



სისტემის შემადგენლობა:

1 – ფოლადის ჰაერსატარის კორპუსი

2 – ბაზალტის ბოჭკოს ქეჩის საგები ან ბაზალტის ბოჭკოს ქეჩის დაბალი სიმკვრივის საგები დაფარული როგორც მინაბოჭკოს ბადით არმირებული, მეტალიზებული პოლიმერული ფირის შემონაფენით, ისე მის გარეშე. მაგ: ECOMAT 25-185-4800 ან ECOMAT DS 50-70-3500 F.

3 – ლითონის მინადული შტიფტი CT/WP2 და მიმჭერი საყელური PW2 Termoclip.

4 – შესაკრავი მავთული და ალუმინის სკოტჩი (პირაპირებისათვის).

2.2 სისტემის უპირატესობა

- მონტაჟის სიმარტივე.

- ტექნოლოგიურობა.

- არ არის აუცილებლობა კონსტრუქციის დამატებითი დამუშავებისა.

- ვიზრომედეგობა.
- ესთეტიკური გარეგანი სახე.
- ხანგამძლეობა.
- მონტაჟი შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს, რადგან არ არის “სველი” პროცესი.

2.3 ცეცხლმედეგობის ზღვარი

უწვადი ECOMAT 25-185-4800 ქეჩის საგების ან ECOMAT DS 50-70-3500 ქეჩის დაბალი სიმკვრივის საგების სისქიდან გამომდინარე, კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის ცეცხლმედეგობის ზღვარი შეადგენს 60-დან 240 წუთამდე.

ECOMAT 25-185-4800 და ECOMAT DS 50-50-3500 ქეჩის საგების ცეცხლმედეგობა სხვადასხვა სისქეზე:

სისქე, მმ.	განზ. ერთ.	მაჩვენებელი	
		ECOMAT 25-185-4800	ECOMAT DS 50-70-3500
25	წთ	EI 60	
50	წთ		EI 90

2.4 ცეცხლდამცავი სისტემის მონტაჟი

2.4.1 აუცილებელი მასალები, ინსტრუმენტები და დაცვის ინდივიდუალური საშუალებანი




- მზომი რულეტი



- დანა, მაკრატელი ან ხერხუნა



- ჩაქუჩი



- მკვნეტარა




- შესადუღებელი აპარატი



- რესპირატორი, სათვალე, ხელთათმანები



- შტიფტი და საყელური




- ქეჩის საგები ან ქეჩის დაბალი სიმკვრივის (DS) საგები

2.4.2 დამაგრების მეთოდის შერჩევა

უწვადი საგების დამაგრება კვამლგამწოვზე ან ჰაერსატარზე შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მიდუღებელი შტიფტების და მიმჭერი საყელურების, ისე ფოლადის არტახების ან შესაკრავი მავთულის საშუალებით.

პირველ შემთხვევაში საჭიროა სპეციალიზებული შესადუღებელი მოწყობილობა.





2.4.3 დამაგრების მეთოდი 1 - მისადულებელი შტიფტებით და მიმჭერი საყელურებით

ჰერსატარის კორპუსის მომზადება.

კვამლგამწოვის ან ჰერსატარის კორპუსი დამზადებული უნდა იყოს არანაკლებ 0,8 მმ სისქის ფოლადის ფურცლოვანასგან, უნდა ჰქონდეს სწორი გეომეტრიული ზომები და შენობა-ნაგებობის მზიდ ელემენტებზე საიმედო მიმაგრება.

მილტუჩოვანი შეერთებები აუცილებლად უნდა იყვნენ შემკვრივებულები უწყადი მასალებით (მხურვალმედევი ჰერმეტიკი, ბაზალტის ბოჭკოს ლენტი, ასბესტის ზონარი ან სხვა).

კვამლგამწოვის ან ჰერსატარის გარე ზედაპირები უნდა იქნენ მომზადებულები იმპულსურ-კონდენსატორული შედულებისათვის ანუ გასუფთავებული ჭუჭყისგან და აუცილებლობის შემთხვევაში გაუცხიმოვნებული.

თუ ზედაპირი დაგრუნტული ან შეღებილია. მაშინ მიდულების ადგილები უნდა კარგად გაიხეხოს, ლითონთან კარგი კონტაქტისათვის.



ცეცხლდამცავი საგების გამოჭრა.

ბაზალტობოჭკოვანი ქერის ან დაბალი სიმკვრივის ქერის საგებების გამოჭრა რეკომენდებულია დანით ან მაკრატლით.

გამოჭრა ხორციელდება ისე რომ საგები გადაფარავდეს კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის მთელ პერიმეტრს, არანაკლებ 50 მმ პირგადადებით.



ყურადღება: არ არის რეკომენდებული საგებების პირაპირების განლაგება კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის ქვედა ნაწილში.

შემდუღებელი მოწყობილობის გამართვა.

მუშაობის წინ გაეცანით აპარატის ინსტრუქციას. აუცილებელია შესადუღებელი თაურას არჩევა რომელიც დამოკიდებულია შტიფტების ტიპზე. მოიმართოს შესადუღებელი აპარატის ძაბვა.



შტიფტების და მიმჭერი საყელურის მომზადება.

შტიფტები უნდა იყოს სწორები. აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს მათი გასწორება, რათა შეუფერხებლად მოხდეს მათი ჩასმა შესადულებელ აპარატში.

მიმჭერი საყელურების რაოდენობა უნდა იყოს მისადულებელი შტიფტების რაოდენობის ტოლი. ყველა საყელურს უნდა ჰქონდეს ჯვარედინი ჩანაჭერი შტიფტებზე დასამაგრებლად.



შტიფტების მიდუღება


კონტაქტური ან იმპულსურ-კონდენსატორული შედუღების აპარატის საშუალებით შტიფტები მიედუღება კვამლგამწოვზე ან ჰაერსატარზე.

შტიფტების მიდუღების წერტილები მონიშნება კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე (ზომა, კონფიგურაცია, კვეთი).

კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის შტიფტების განლაგებისას რეკომენდებულია შემდეგი წესები:

- მაქსიმალური მანძილი შტიფტებს შორის ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად – 350 მმ.
- მაქსიმალური მანძილი კვამლგამწოვის ნაპირიდან შტიფტების პირველ რიგამდე – 100 მმ.






საგებების ჩამოკიდება

მიდულეზულ შტიფტებზე ჩამოკიდება წინასწარ გამოჭრილი ბაზალტის ქეჩის ან დაბალი სიმკვრივის ქეჩის საგებები იმგვარად, რომ შტიფტები არ მოიღუნოს.

საგებები ჩამოკიდებიან ისე, რომ კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის ტრავერსი იმყოფებოდეს მის ქვემოთ, ხოლო მილტუჩოვანი შეერთებები დაფარული იყოს საგებით.



საყელურების ფიქსაცია

მას შემდეგ, რაც საგებები ჩამოკიდულია, ისინი ფიქსირდებიან საყელურებით.

სარჩების მახვილი ბოლოები მოიჭრება მკვნეტარათი. დაიტოვება მხოლოდ 2-3 მმ საყელურების ფიქსაციისათვის. ან მასზე ჩამოიცმება დამცავი ხუფები.

საყელურები დაიმალება ქეჩის ნაჭრებით და დაფიქსირდება ალუმინის წებოვანი ლენტით.

საგებების ჩაკერვა

საგებების ყველა მონაჭრები ერთმანეთში გადაეკრებიან მავთულით, ხოლო პირაპირები შემკვრივდებიან ქეჩის მონაჭრებით და ფიქსირდებიან მავთულით. გარდა ამისა ორი საგების პირაპირები უნდა იქნენ დაკავშირებულნი ალუმინის სკოტჩით.


ყურადღება: შენობის გარეთ აუცილებელია კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის იზოლაციის საფარი ფენის გათვალისწინება.



შტიფტების მიდუღება იზოლაციის გავლით.

არსებობს შესაძლებლობა ქერის საგების დამაგრებისა უშუალოდ საგების გავლით.

ამ შემთხვევაში, დამაგრების ელემენტებად გამოიყენება კომბინირებული შტიფტები მახლოკირებელი თაურებით.



2.4.4 დამაგრების მეთოდი 2 - არტახების საშუალებით.


ცეცხლდამცავი საფარების დასამაგრებლად შეიძლება გამოყენებულნი იქნენ არტახებიც.

არტახებად შეიძლება გამოყენებული იქნას ფოლადის მოთუთიებული ლენტი სისქით არანაკლები 0,8 მმ და სიგანით არანაკლები 15-20 მმ (გოსტ 3560) ან მოთუთიებული მავთული დიამეტრით 1-2 მმ.

არტახებით ან მავთულით მონტაჟი ხორციელდება ბიჯით არანაკლები 350 მმ.

ორი საგების პირაპირები უნდა იქნენ დაკავშირებულნი ალუმინის სკოტჩით.

მაღალი განივკვეთის (800 მმ და მეტი) კვამლგამწოვებზე ან ჰაერსატარებზე, ცეცხლდამცავი საფარების ჩაკიდულობების თავიდან ასაცილებლად, ბიჯი უნდა იყოს არაუმეტესი 200 მმ.



კვამლგამწოვების და ჰაერსატარების საკიდულობის ცეცხლდაცვა.

ცეცხლდაცვა ხორციელდება იმავე მასალით, როგორც კვამლგამწოვების ან ჰაერსატარების ზედაპირები. საკიდულობები არ თხოულობენ რაიმე სხვა სამარჯვებს. ქეჩის საგების წინასწარ დაჭრილი ნაჭრები შემოეხვევა საკიდულობის გარშემო და დამაგრდება მავთულით.



2.4.5 კვამლგამწოვების ან ჰაერსატარების მონტაჟური შეუღლებულობა სამშენებლო კონსტრუქციებთან

კვამლგამწოვების ან ჰაერსატარების სამშენებლო კონსტრუქციებთან შეუღლებულობის ადგილებში უნდა გაკეთდეს ცეცხლდამცავი საფარის გაწყვეტა. თვით კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის კონსტრუქცია კუთხეების შეუღლებულობის ადგილებში კი უნდა ითვალისწინებდეს სიხისტის წიბოებს.

ცეცხლდამცავი საფარის მონტაჟის შემდეგ, კვამლგამწოვის ან ჰაერსატარის და შენობის მზიდი ელემენტების შეუღლებულობის ადგილი ამოიქოლება ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

ერთმანეთის გვერდი-გვერდზე ახლო განლაგებული ორი კვამლგამწოვი ან ჰაერსატარი შეიძლება დაიზოლირდეს ერთიანად, ერთი საგებით.



იმ შემთხვევაში, თუ მანძილი ორი ჰაერსატარის კორპუსებს შორის, ან ჰაერსატარის კორპუსსა და კონსტრუქციას შორის ნაკლებია ცეცხლდამცავი საფარის ორ სისქეზე, მაშინ საგებები ფიქსირდებიან მისაწვდომ ადგილებზე და ჩაეჭირებიან კონსტრუქციისა და კორპუსის შუალედში, ხოლო შემდეგ კი მათ შორის საჰაერო შუაშრე ყველა მხრიდან გულდასმით ამოიქოლება ცეცხლდამცავი მასალით არანაკლები 100 მმ სიღრმეზე.



